

შო მღვიმელი

(მცირე შენიშვნა)

„სახალხო ფურცლის“ N257 (1915წ.) მოთავსებულია წერილი ჩვენი ფრიად პატივცემული მწერლის და საზოგადო მოღვაწის ქ-ნ ეკ. გაბაშვილისა შო მღვიმელზე. წერილის ავტორი სამართლიანად აღნიშნავს შო მღვიმელის მოღვაწეობას ამ 30 წლის განმავლობაში. „ოცდა ათი წელიწადია რაც შო შეუყენებლივ აბნევს საუცხოვო მარგალიტებს პოეზიისას ქართულ საყმაწვილო ჟურნალებში და ყოველი პატარა მკითხველი თავის საყვარელ ჟურნალის მიღებისთანავე პირველად ბიძია შიოს ლექსს ეწაფება, ჰყლაპავს და გულს სამოთხისებური იაზმით ისხურებს და პეპელასავით ცქრიალის დროს ზეპირად ღიღინებს.. წელს ძვირფას შო მღვიმელს, ამ ყმაწვილთა გულთა მხილავს და საყვარელ პოეტს, ოცდაათი წელიწადი უსრულდება, რაც პირველად ხელში კალამი აიღო და პირველი საგალობელი უგალობა ქართველ მომავალ იმედებს. იმის ლექსთა ზეგავლენით აღზრდილნი, ჯერეთ კიდევ ბალღობის ასაკში მყოფნი, აპირობენ იმის პატივისცემას, სიცოცხლითვე ვარდ-ყვავილით შემკობას და იმის ხელმოკლეობით შევიწროვებულ ცხოვრების გასაუმჯობესებლად სალიტერატურო დილის მოწყობას; წავიდეთ, ყმაწვილებო, ამ დილაზედ“ და სხვადასხვა...

დიდი მადლობის ღირსია ქ-ნი ეკატერინე ამ წერილისათვის, ასეთი ყურადღებისათვის იმ დაჩაგრული ადამიანისადმი, რომელსაც ამ 30 წლის განმავლობაში ერთი თბილი, გამამხსნევებელი სიტყვაც კი არ გაუგონია თანამოძმეთაგან. არ გამოჩნდა არავინ მამაკაცთაგანი, აღნიშნა შიოს მოღვაწეობა, მისი ღვაწლი სამწერლო ასპარეზზე, ღირსეულად დაეფასებინა იი, ჰქონოდა იმდენი გაბედულება, რომ ეთქვა: შო მღვიმელი ნიჭიერი მწერალიაო. შიოს ყველანი პატარა კაცად სთვლიან; ჩვენი შო, ჩვენი შო და არავინ ფიქრობს იმას, რომ ეს პატარა კაცი იმავე დროს ძალიან დიდი კაცია; მისი ღვაწლი დიდმნიშვნელოვანია. ვინც ბაღებს კეთილ გონიერად ზრდის, იგია აღმზრდელი და გამაბედნიერებელი ერისა, ვინაიდან სიყრმის დროს დათესილი კეთილი თესლი დიდობაში უხვად გამოიღებს ნაყოფს. ამიტომ აძლევს ჭეშმარიტი პედაგოგიკა უდიდეს მნიშვნელობას დაწყებით სწავლას, სიყრმის დროს მიღებულ შთაბეჭდილებათა; ამ შთაბეჭდილებათა ანკარა წყარო კი ეს „ჩვენი შო“ გახლავს. „მიეცით კეისრისა კეისარსა და ღვთისა ღმერთსაო“, ბრძანა მაცხოვარმა. ჩვენც ასე უნდა ვიქცეოდეთ და არავის ამაგი არ დაუკარგოთ, ნურავის ჰგონია, ადვილი იყოს საბავშვო ლექსის და მოთხრობის დაწერა , ყველაზე ძნელი სწორედ ესაა, და თუ არა ღვთიური ნიჭით მირონცხებულს და სულით მდიდარს, რაიც ერთგვარად 5-6 წლის ბავშვს უახლოვებს 40 წლის ადამიანს, არ შეუძლიან გახდეს საბავშვო მწერალი. დიად, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენ, მამაკაცებს ამოგველო ხმა შო მღვიმელზე და იმის სასარგებლოდ დილის გამართვაზე, ისევ პატივცემულმა მანდილოსანმა დაგვასწრო; მან წარმოსთქვა შიოს სასარგებლოდ სიტყვა და ჩვენ, მამაკაცებს, რაღა დაგვრჩენია იმის მეტი, რომ არ მივცეთ ხანი ქ-ნი გაბაშვილის მოწოდებას და სიამოვნებით არ გავემუროთ შო მღვიმელის დილაზე.